საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ **ლევან დავითაშვილს**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი ეი ეფ გრუპ“-ის (ს/კ400273510) რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ზღვისუბნის დასახლება, IX კვარტალი, კორპუსი 15, ბინა 28, (ფაქტობრივი მის: გარდაბნის რ-ნ სოფელი გაჩიანი)
დირექტორის ბ-ნ **რევაზი რევაზიშვილის**
ელ.ფოსტა. gafgroup01@gmail.com მობ: 555-53-55-60

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი ეი ეფ გრუპ“-ის (რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ზღვისუბნის დასახლება, IX კვარტალი, კორპუსი 15, ბინა 28 (ფაქტობრივი მის: გარდაბნის რ-ნ სოფელი გაჩიანი), მოწყობილი აქვს ასფალტის ქარხანა გარდაბნის რაიონში, სოფელი გაჩიანი, ს/კ **81.06.24.631**, (GPS კოორდინატში X - 500220.0; Y - 46035750). აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია (უკვე დამონტაჟებულია) ასფალტის დანადგარი "ტელტომატ V/3-R" სათანადო სრული კომპლექტაციით. მისი წარმადობა ტოლია 80 ტ/სთ. აღნიშნული დანადგარი წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეო სერვისი"-ს საკუთრებას, რომელიც ფუნქციონირებდა გარდაბნის რაიონში, სოფელი აღთაკლიაში, ს/კ 81.06.22.261, (GPS კოორდინატში X - 500420.0; Y - 4604100.0), რომელიც დაშორებულია დაგეგმილი საქმიანობიდან 430 მეტრი მანძილით და მასზე გაცემული იყო შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯი ეი ეფ გრუპ"-ს მიერ დაგეგმილი ასფალტის წარმოება, ამავე კოდექსის მე-2 დანართის 5.3 პუნქტის თანახმად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას და შესაბამისად წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში 32 ფურცლად, CD დისკი 1 ცალი;

პატივისცემით,
შპს ჯი ეი ეფ გრუპ-ის
დირექტორი: რევაზი რევაზიშვილი

№ 18659
20 12 2019
02